# სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილეს პატრიარქის ჯილდო გადაეცა

***სსსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.17.2023.*** 2023 წლის 17 იანვარს, სამუშაო თათბირის დაწყების წინ, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილეს, დეკანოზ ნიკოლოზ ლიშჩენიუკს დაბადების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით პატრიარქის ჯილდო გადასცა – მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტის, წმინდა მღვდელთმთავარ ინოკენტის სახ. ორდენი (III ხარისხის).

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველს, დეკანოზ ნიკოლოზ ბალაშოვს გადაეცა მედალი „თეოდორ დოსტოევსკი – 200 წელი". მედალი დაწესებულია რუსეთის მწერალთა კავშირის მიერ 2021 წელს, თეოდორ დოსტოევსკის დაბადების 200 წლისთავის სადღესასწაულო წელს, და მიეძღვნა

დიდი რუსი მწერლის ხსოვნას, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის რუსულ ლიტერატურაზე. თავისი სტატუსით მედალი წარმოადგენს საზოგადოებრივ ჯილდოს; მას ანიჭებენ პოეტებსა და მწერლებს თანამედროვე რუსული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89951/